თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სალექციო კურსის სასწავლო გეგმა**

სასწავლო წელი
2011-2012

**სასწავლო კურსის სახელწოდება: კ უ ლ ტ უ რ ო ლ ო გ ი ა**

**სასწავლო კურსის კოდი:** S.1.L.60

**ლექტორი** _ ასოცირებული პროფესორი ირმა შიოშვილი,

**ტელეფონები:** ტელ:7-09-90, ელ-ფოსტა: irma-giorgi@posta.ge

**საკონსულტაციო დრო** _ ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 11-დან 15 საათამდე ფილოსოფიის კათედრაზე

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი) ECTS კრედიტი. ხანგრძლივობა: 15 კვირა – 125 საათი. ა) სააუდიტორიაო – 45 სთ. (ლექცია – 30, პრაქტიკული – 15); ბ) დამოუკიდებელი – 80. კვირაში ჩატარდება 3 სააუდიტორიო შეხვედრა.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტების დამატებით სპეციალობაზე ,,კულტუროლოგია“ VII სემესტრში

**სალექციო კურსის მიზანია:** კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ზოგადი ცოდნა კულტურის, როგორც ადამიანის ყოფიერების ფორმის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი და ის სამყარო, რომელსაც იგი ქმნის და რომელშიც ცხოვრობს, როგორი უნდა იყოს სინამდვილესთან მისი ურთიერთობის პრინციპები; კურსში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი კულტურის შესახებ წარმოდგენების ისტორიულ განვითარებას, აგრეთვე, კულტურის ონტოლოგიის საკითხებს. განხილულია კულტურათა იერარქიის პრობლემა, კულტურის სტრუქტურა, ფუნქციები, მოდიფიკაციები და ტიპოლოგია.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა** _ არ აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:** მოცემული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები მიიღებენ ცოდნას კულტუროლოგიის აქტუალური საკითხებისა და პრობლემების შესახებ. იგი აითვისებს იმ კონცეფტუალურ აპარატს, რომელიც კულტუროლოგიური აზროვნებისა და კვლევის კარკასს ქმნის. მას მიეცემა შესაძლებლობა, ჩაწვდეს იმ სამყაროს თავისებურებებს, რომელსაც ადამიანი ქმნის და ცნობიერად აითვისოს ღირებულებები, როგორც ადამიანის ცხოვრების პრინციპები და მსოფლმხედველობრივი საყრდენები.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის კულტუროლოგიის ასპექტების რაობა; იცნობა მის შესახებ არსებულ ძირითად კონცეფციებს. | აქვს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა კულტუროლოგიაში; დაუფლებულია პირველწყაროების მოპოვება-დამუშავების მეთოდებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია კულტუროლოგიის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი; შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია კულტუროლოგიასთან დაკავშირებული მასალების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი. |
| სწავლის უნარი | ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიქულ მაგალითებზე დაყრდნობით. | ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიქულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| კომუნიკაციის უნარი | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუაობის უნარი; შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. | ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფრმაციების მომზადება კულტუროლოგიის სხვადასხვა ასპექტების შესახებ. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალიწინებებთ სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა. | გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემოქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები. |
| ღირებულებები | იცნობს კულტუროლოგიის დამახასიათებელ ღირებულებებს | იხილავს და აანალიზებს კულტუროლოგიის თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს შეუძლია დისციპლინის წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიერთა აზრს. |

## სალექციო კურსის სტრუქტურა

**თემა 1.კვირა 1.**

**კულტუროლოგიის საგანი.**

კულტუროლოგია, როგორც ინტეგრალური მეცნიერება. კულტურის შემსწავლელი მეცნიერებანი (არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტურის ისტორია, კულტურანთროპოლოგია, კულტურის სოციოლოგია), როგორც საფუძველი (ბაზისი) კულტუროლოგიური განზო-გადებისათვის. კულტურის ფილოსოფიის მაინტეგრირებელი ფუნქცია.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია. თბილისი:უნივერსალი, გვ. 7-10.

დამატებითი ლიტერატურა:

1.Чавчавадзе Н. З. (1984). Культура и ценности. თბილისი: მეცნიერება. გვ. 14-20.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 2.კვირა2.**

**კულტურის ცნება და მისი გენეზისი.**

კულტურის ანთროპოლოგიური და აქსიოლოგიური გაგება. კულტურის ცნებათა დეფინიციის სიმრავლე და მათი ტიპოლოგია. კულტურა და ღირებულება.

ლიტერატურა:

1. ქერქაძე დ. (1984). ერი და კულტურა.. თბილისი: მეცნიერება. გვ. 3-7.
2. ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია.თბილისი: უნივერსალი. გვ.10-13

დამატებითი ლიტერატურა:

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 3.კვირა 3.**

**კულტურის შესახებ წარმოდგენების ისტორიული განვითარება.**

კულტურის ანტიკური კონცეფცია: “დამუშავება,” “პააიდეია,” “გამოგონება,” “ნომოი” (კანონი). “ზუნებით” და “დადგენელებით” არსებული.

ლიტერატურა:

1. ქერქაძე დ. (1984). ერი და კულტურა.. თბილისი: მეცნიერება. გვ. 8-14.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Драч Г. В.( რედ). (1998). Культурология.. Ростов-на-Дону: Феникс. გვ. 24-28.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 4.კვირა 4.**

**კულტურის გაგება შუა საუკუნეების ეპოქაში.**

ქრისტიანული კულტურის ატრიბუტები: მონოთეიზმი, ასკეტიზმი, ტრანსცენდენტიზმი, პერსონალიზმი. ჭეშმარიტების საფუძველი: ავტორიტეტი და არა ლოგიკა და დაკვირვება.

ლიტერატურა:

1. ქერქაძე დ. (1984). ერი და კულტურა. თბილისი: მეცნიერება. გვ. 14-15

2.ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია.თბილისი:უნივერსალი.
გვ.210-213

დამატებითი ლიტერატურა:

1. Драч Г. В.( რედ). (1998). Культурология. Ростов-на-Дону: Феникс. გვ. 28-31

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 5.კვირა 5.**

**კულტურის გააზრება ახალ დროში.**

რუსო: ბუნებისა და კულტურის დაპირისპირება; კანტი: ბუნების სამყარო და თავისუფლების სამყარო; ჰერდერი: ადამიანის ძირითადი თვისება – მოსაზრებულობა. კულტურის სფეროები: ენა, მეცნიერება, ხელოვნება, ხელოსნობა, რელიგია, ოჯახი,

სახელმწიფო. ჰეგელი: კულტურა, როგორც შემოქმედება. იარაღი. “კავი უფრო ღირებულია, ვიდრე თავთავი,” იარაღი – კულტურის ქმნილება.

ლიტერატურა:

1. ჰეგელი. 2001. ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე. ნაწ. III. ბერძნული სამყარო. (მთარგმ. ნათაძე ნ.),თბილისი:გამომცემლობა არ არის აღნიშნული, გვ. 131-141.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 6.კვირა 6.**

**კულტურის პრობლემა გერმანულ ნეოკანტიანელობაში. ბადენის სკოლა.**

კულტურა და ბუნება. კულტურის შემეცნების პრობლემა. ისტორიის მეთოდოლოგია. ღორებულებათა სისტემა.

ლიტერატურა:

1.ყულიჯანაშვილია.(2001),კულტუროლოგია.თბილისი:უნივერსალიგვ.39-44

დამატებითი ლიტერატურა:

1. Риккерт Г.( 1998). Науки о природе и о культуре. (მთარგმ,Зотов А. Ф.) Москва: Республика. გვ. 54-59; 89-103.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 7.კვირა 7.**

**კულტურის პრობლემა გერმანულ ნეოკანტიანელობაში. მარბურგის სკოლა.**

ერნსტ კასირერი. კულტურა სიმბოლური ფორმების სისტემა. ადამიანი – სიმბოლოების შექმნილი არსება. კულტურის სფეროები: ეთიკა, მეცნიერება, ხელოვნება, მითი, რელიგია.

ლიტერატურა:

1. კასირერი ე. (1983). რა არის ადამიანი? VI. (მთარგმ. რამიშვილი ლ. ) თბილისი: განათლება. გვ. 109-121.

დამატებითი ლიტერატურა:

2.Чавчавадзе Н. З.( 1984). Культурა и ценности. თბილისი: მეცნიერება. გვ. 38-48.

2 სთ. ლექცია, 1 სთ შუალედური წერა

**თემა 8.კვირა 8.**

**კულტურის ონტოლოგია.**

კულტურის ცნების პოლისემანტურობა. კულტურის განხილვის ორი რაკურსი: საერო და რელიგიური. კულტურისადმი მიდგომის ფორმები: აქსიოლოგიური, სემიოტიკური, ჰუმანიტარული, ტექნოლოგიური.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია. თბილისი:უნივერსალი, გვ. 68-91.

დამატებითი ლიტერატურა:

1.Драч Г. В.( რედ). (1998). Культурология. Ростов-на-Дону: Феникс.გვ.71-78

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 9.კვირა 9.**

**კულტურის სუბიექტი და მისი ატრიბუტები.**

გონიერი არსება, მეტყველი არსება, სოციალური არსება, იარაღის მკეთებელი არსება, "ჰომო ფაბერ" (მწარმოებელი არსება), "ჰომო ლუდენს" (მოთამაშე არსება), "ჰომო აგენს" (მოქმედი არსება), "ჰომო ლაბორანს" (მომუშავე არსება), "ჰომო ამორის" (მოსიყვარულე არსება), "ჰომო სიმბოლიკუმ" (სიმბოლოების შემქმნელი არსება). ერი, როგორც კულტურის სუბიექტი. ეროვნული გონი, როგორც კულტურის ემანაციური ცენტრი.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილია.(2001).კულტუროლოგია.თბილისი:უნივერსალი,
Gგვ.159-172

2. ბუაჩიძე თ.( 2003.), ფილოსოფიური ანთროპოლოგია. თბილისი: მეცნიერება. გვ. 55-63.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჰაიზინგა ი. (1997). Hომო Lუდენს.( მთარგმ. Nნოდია გ.) თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის გამოცემა. გვ. 24-28.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 10.კვირა 10. K**

**კულტურის მოდიფიკაციები.**

კონტრკულტურა, სუბკულტურა, აკულტურაცია, მასობრივი კულტურა, მარგინალური კულტურა, ელიტარული კულტურა

ლიტერატურა:

1.ყულიჯანაშვილია.(2001).კულტუროლოგია.თბილისი:უნივერსალი,გვ172-185

2.ორტეგა-ი-გასეტი ხ . 1993. მასების ამბოხი. (მთარგმ ბრეგვაძე ზ.), თბილისი: ხომლი. გვ. 3-11.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 11.კვირა 11.**

**კულტურის სტრუქტურა.**

კულტურა, როგორც მთელი. კულტურის მორფოლოგია. კულტურის სფეროები: მითოსი, რელიგია, ზნეობა, ხელოვნება, მეცნიერება. კულტურის კრიზისის პრობლემა.

ლიტერატურა:

1.ყულიჯანაშვილია.(2001).კულტუროლოგია.თბილისი:უნივერსალი.გვ106-128

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 12.კვირა 12.**

**კულტურის ფუნქციები**

კულტურა, როგორც სოციალური ტრანსლიაციის გამოცდილება. კულტურა, როგორც პიროვნების სოციალიზაციის წესი. კულტურა, როგორც სოციალური მეხსიერების ტიპი. კულტურა, როგორც ზეინდივიდუალური რეალობა. კულტურის კომუნიკაციური და სიმბოლური ბუნება. ტრადიცია და ნოვაცია, როგორც კულტურის ერთიანობა.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილი ა.( 2001). კულტუროლოგია. თბილისი: უნივერსალი. გვ. 140-159.

დამატებითი ლიტერატურა:

2. Драч Г. В.( რედ). (1998). Культурология. Ростов-на-Дону: Феникс. გვ. 99-111.

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 13.კვირა 13.**

**კულტურის ტიპოლოგია.**

კულტურის ტიპი, როგორც ისტორიული მთლიანობა. აღმოსავლეთი და დასავლეთი, როგორც კულტურის უნივერსალური ტიპები. ნ. ი. დანილევსკი – კულტურულ-ისტორიული ტიპების თეორია. შპენგლერი – კულტურის მორფოლოგია. პიტირიმ სოროკინის თეორია.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია. თბილისი: უნივერსალი, გვ. 186-198.

2. Kკულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა,(2003),თბილისი:თსუ,გვ.55-73

2 სთ. ლექცია, 1 სთ. სემინარი.

**თემა 14.კვირა 14.**

**ევროპა, როგორც კულტურის უნივერსალური ტიპი და მისი განვითარების ეტაპები.**

აპოლონური და დიონისური საწყისები ევროპულ კულტურაში. ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულებები: მშვენიერება, რწმენა, სახელმწიფოებრიობა, პიროვნება, ადამიანი, როგორც თვითღირებულება.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია. თბილისი: უნივერსალი.გვ.206-226.

**თემა 15.კვირა 15.ძირითადი კულტუროლოგიური სკოლები და კონცეფციები.**

**L**ლიტერატურა:

1. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა,(2003),თბილისი:თსუ.გვ.81-92

2. ყულიჯანაშვილი ა. (2001). კულტუროლოგია. თბილისი: უნივერსალი,გვ.185-198.

2 სთ. ლექცია, 1 სთ.სემინარი

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია.

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი

გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები

გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

. 91-100 ქულა : A (ფრიადი)

. 81-90 ქულა: B (ძალიან კარგი)

. 71-80 ქულა: C (კარგი)

. 61-70 ქულა: D (დამაკმაყოფილებელი)

. 51-60 ქულა: E (საკმარისი)

არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:

. 41-50 ქულა: FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კრედიტის მისაღებად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადში დამატებითი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ

შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება შეფასების სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

. 40 და ნაკლები ქულა - F (ჩაიჭრა). ამ შემთხვევაში სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება სგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ყულიჯანაშვილი ა.(2001), კულტუროლოგია. თბილისი:უნივერსალი

ქერქაძე დ. 1984. ერი და კულტურა. რედ. ნათაძე ნ. თბილისი: მეცნიერე-ბა.კულტუროლოგია, (2003).კულტურის ისტორიის და თეორიის კათედრა, თბილი-სი: თსუ გამომცემლობა

ბუაჩიძე თ.( 2003.), ფილოსოფიური ანთროპოლოგია. თბილისი: მეცნიერება.

ჰეგელი.( 2001). ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე. ნაწ. III. ბერძნული სამყარო. (მთარგმ. Nათაძე ნ.), თბილისი

ასირერი ე. (1983). რა არის ადამიანი? VI. (მთარგმ. რამიშვილი ლ. ) თბილი-სი: განათლება.

რტეგა-ი-გასეტი, ხ.(1993).მასების ამბოხი. (მთარგმ ბრეგვაძე ბ.), თბილისი: ხომლი.

**დამატებითი ლიტერატურა:**

Чавчавадзе Н. З. (1984). Культура и ценности. თბილისი: მეცნიერება.

Драч Г. В.( რედ). (1998). Культурология.. Ростов-на-Дону: Феникс.

Риккерт Г.( 1998). Науки о природе и о культуре. (მთარგმ,Зотов А. Ф.) Москва: Республика.

ჰაიზინგა ი. (1997). Hომო Lუდენს.( მთარგმ. Nნოდია გ.) თბილისი: მშვიდობის, დემო-კრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის გამოცემა.